

მოხსენების (აბსტრაქტის) სტანდარტი

სტატიის სათაური - სათაური კომპაქტურად და ზუსტ წარმოდგენას უნდა ქმნიდეს ნაშრომის შინაარსის/დასმული პრობლემის შესახებ.

ინფორმაცია ავტორის/ავტორების შესახებ - ამ ნაწილში უნდა მიეთითოს ავტორის/ავტორთა სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სამუშაო/სწავლის ადგილი, საკონტაქტო მონაცემები.

აბსტრაქტი - აბსტრაქტი ოპტიმალურად უნდა ასახავდეს თემის/პრობლემის აქტუალობას, მიზნებს, შინაარსსა და კვლევის შედეგებს. სიტყვათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 400.

საძიებო სიტყვები - საძიებო სიტყვების ოპტიმალური რაოდენობაა 4-7 ერთეული, ხოლო ფრაზის ფარგლებში - არა უმეტეს 3 ერთეულისა.

ფორმალური მოთხოვნები - მოხსენება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

1. მოხსენება (მათ შორის აბსტრაქტი) წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
2. ფურცლის ფორმატი - A4, შრიფტი - "Sylfaen", სათაურის ზომა -14, ტექსტის ზომა - 11, სტრიქონებს შორის მანძილი - 1, ველების მანძილი (ყველა მხრიდან) - 2 სმ.
3. გვერდის მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს ავტორის (თანაავტორის) სახელი და გვარი, უნივერსიტეტი, აკადემიური სკოლა, სტატუსი, საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, ტელეფონი).
4. აბზაცის ყველა წინადადება თანაბრად უნდა იყოს დაშორებული მარცხენა ველიდან.